UNDP-GEF KURA

UNDP-GEF მტკვარი II
პროექტი

ბატონი ბიჭიკოს ხახვის მოსავალი

წვეთოვანი მორწყვა

ბატონი ბიჭიკოს მზემოკიდებულ სახეზე ჩანს, როგორ შეაფერადა მისი კანი ქართულმა მწველმა მზემ. ის ამაყად ზის საკუთარ მოსავალთან

თავიდან ბატონი ბიჭიკოს მინდვრის ნიადაგი გამომშრალი იყო. წყალი ძუნწად მიწანწკარებდა მინდვრის გვერდით და მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მოწყურებული მცენარის ფესვებს. ბატონი ბიჭიკოს ხახვის მინდორი საქართველოში, კერძოდ კი რუისში, მდინარე მტკვრის აუზში, მდებარეობს.

2019 წელს, საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და UNDP- GEF მტკვარი II პროექტის დახმარებით, ბატონი ბიჭიკოს ხახვის მინდვრის ნიადაგი წვეთოვანი სისტემით მორწყეს, რაც ტრადიციული მორწყვის მეთოდისგან განსხვავდება. ტრადიციული მორწყვა ნიადაგის მთლიანად დასველებას გულისხმობს და ამ პროცესში ბევრი წყალი უმიზნოდ იხარჯება.

მორწყვის პროცესში წყლის მხოლოდ 50% გამოიყენეს, ვიდრე წინა წლებში, მოსავალი კი გასამმაგდა! მიღებული შემოსავლით ბატონი ბიჭიკო მომავალში უფრო მეტ ფართობს მორწყავს წვეთოვანი წესით!

კიდევ ერთი დადებითი შედეგი აქვს ამ ყველაფერს: ამიერიდან ნიადაგი მასში შემავალ სასარგებლო ნივთიერებებს ჭარბი და არასწორი მორწყვის გამო არ დაკარგავს, რაც ტრადიციული რწყვის დროს ზედმეტი წყლით ირეცხებოდა.

ყველაზე მეტად ბატონ ბიჭიკოს ის ეამაყება, რომ ახლა ნაკლებ წყალს იყენებს, ვიდრე ადრე და მის მეზობლებსაც ეხმარება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში: მეზობლებსაც სურთ მსგავსი წესით მორწყვა.

ბატონი ბიჭიკოს მინდვრის მორწყვის უკვე დამონტაჟებულ სისტემას მისი მეზობლების ტრენინგისთვისაც გამოიყენებენ. სხვა გლეხებსაც ასწავლიან, როგორ დაამონტაჟონ, გამოიყენონ და აქტიურად დანერგონ მომავალში ნიადაგის მორწყვის ინოვაციური სისტემა. ბატონი ბიჭიკოს ხახვის მოსავლის მინდორი სამინისტრომ და UNDP-GEF მტკვარი II-ის გუნდმა იმიტომ აარჩია, რომ მან თავად გამოთქვა სურვილი, საკუთარი გამოცდილება სხვებისთვის გაეზიარებინა. ტრენინგი მოსავლიდან ერთი თვის ვადაში დაიწყება და სულ მცირე, რამდენიმე წელი გაგრძელდება.

წყლის დაზოგვით ფერმერები უფრო კმაყოფილები იქნებიან, მოსავლითაც იამაყებენ და მეტ ხახვსაც მოიყვანენ რუისში

www.kura-river.org